



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის აგვისტოში რეალური მშპ წლიურად 10.3%-ით გაიზარდა წინა თვის 9.9%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, რეალური მშპ 4.5%-ით არის გაზრდილი 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით. აგვისტოში ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში, გარდა მშენებლობის და სამთომშოვევითი მრეწველობის დარგებისა. ზრდას ხელი შეუწყო ფულადი გზავნილებიდან და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, ასევე მთავრობის კაპიტალური ხარჯებისა და კორპორატიული საბანკო სესხების ზრდის ტემპების დაჩქარებამ. ჯამურად, 2021 წლის პირველ 8 თვეში, საქართველოს ეკონომიკა 12.0%-ით გაიზარდა (+5.5% 2019 წლის პირველ 8 თვესთან შედარებით).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2021 წლის აგვისტოში წლიურად 16.2%-ით გაიზარდა (+1.2% თ/თ) და 40.1 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელის წლიური ზრდა აგვისტოში 15.3%-მდე დაჩქარდა (+1.5% თ/თ). სექტორების მიხედვით, აგვისტოში კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდა 15.6%-მდე დაჩქარდა, ხოლო საცალო დაკრედიტების ზრდის ტემპმა 15.0% შეადგინა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). 2021 წლის აგვისტოში სესხების დოლარიზაცია 51.7%-მდე (-4.44პპ წ/წ და -0.26პპ თ/თ) შემცირდა, ხოლო უმოქმედო სესხები 2.2%-ს გაუტოლდა (+0.05პპ წ/წ და -0.01პპ თ/თ). საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები 2021 წლის აგვისტოში წლიურად 13.4%-ით, ხოლო წინა თვესთან შედარებით 0.2%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 35.4 მლრდ ლარი შეადგინა. ვალუტების მიხედვით, ლარის დეპოზიტების წლიური ზრდა 12.8% იყო, ხოლო უცხოურ ვალუტის დეპოზიტების ზრდამ 13.8% შეადგინა. ამასთან, აგვისტოში დეპოზიტების დოლარიზაციამ 60.1% შეადგინა (+0.59პპ წ/წ და +0.01პპ თ/თ).

მიმდინარე ანგარიში: სემ-ის მიხედვით, 2021 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წლიურად 8.4%-ით შემცირდა და მშპ-ის 8.0% შეადგინა (მშპ-ის 11.8% იყო 2020 წლის მეორე კვარტალში). მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება ძირითადად განაპირობა ტრანსფერების ზრდამ (+58.7% წ/წ, მშპ-ის 11.2%) და ასევე, მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებამ, რასაც ტურიზმის სექტორის აღდგენამ შეუწყო ხელი. ამასთან, საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 23.3%-ით გაიზარდა 755.6 მლნ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 49.0%-ით, ხოლო იმპორტი 42.9%-ით გაიზარდა. მეორე კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო სხვა ინვესტიციები იყო, რომელმაც 318.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის 6.7%). ამასთან, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 148.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 3.1%-ია. ჯამურად, 2021 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 9.2% შეადგინა (11.3% იყო 2020 წლის პირველ ნახევარში).

ბიუჯეტი: მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა 2022 წლის ბიუჯეტის პირველადი ვერსია, რომელიც მოიცავს 2021 წლის განახლებულ პარამეტრებსაც. 2022 წლის ბიუჯეტის ჩარჩო ემყარება მშპ-ის 6.0%-იან ზრდას და 4.5%-იან დეფლატორს (2021 წლის მშპ-ს ზრდის პროგნოზი ასევე გაიზარდა 9.5%-მდე წინა 7.7%-დან). სახელმწიფო ვალი 2022 წლისთვის მშპ-ს 52.1%-ზე დაგეგმილი, თითქმის უცვლელი 2021 წლის მაჩვენებლიდან. აღსანიშნავია, საგადასახადო შემოსავლების 17.6%-იანი ზრდა, რაც მაკროპარამეტრებთან ერთად ასახავს COVID-თან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების დასრულებას. 2022 წლისთვის მიმდინარე ხარჯები მშპ-ის 22.0%-მდე მცირდება კოვიდთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების გამო, ხოლო კაპიტალური ხარჯები კვლავ მაღალ დონეზეა დაგეგმილი და მშპ-ის 8.5%-ს შეადგენს. შედეგად, ფისკალური დეფიციტი 2020 წლის მშპ-ს 4.4%-ზეა დაგეგმილი და 2023 წლიდან მოსალოდნელია დეფიციტის მაჩვენებლის პანდემიამდელ დონესთან დაბრუნება.

სავალუტო ინტერვენციები: 2021 წლის 30 სექტემბერს, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 60.0 მლნ აშშ დოლარი გაყიდა ლარის რყევების შესამსუბუქებლად. ეს იყო მე-9 სავალუტო ინტერვენცია 2021 წელს. წინა სავალუტო აუქციონები ჩატარდა 2021 წლის იანვარ-აგვისტოში, სადაც ეროვნულმა ბანკმა 272.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.


გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	2019	2020
რეალური მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,584	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,722	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5%	7.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.3	3.5	3.9
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	6.8%	5.5%	12.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.3%	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.9%	40.4%	60.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2		


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სემ



ფულადი ბაზარი


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 28 სექტემბერს 5-წლიანი 35.0 მლნ ლარის (11.2 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 3.1-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით, რომელიც 2021 წლის აგვისტოში გაიმართა, 0.175პპ-ით შემცირდა და 9.246% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 5 ოქტომბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები,
2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	105	60	75
1-წელი	105	90	290
2-წელი	140	150	960
5-წელი	330	255	2,485
10-წელი	69	25	1,306
სულ	749	580	5,116


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.34%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.45 (-0.18% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.59 (-0.42% წინა კვირასთან შედარებით), 4.98%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 101.80 ფასად (-0.96% წინა კვირასთან შედარებით), 3.69%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 101.19 (-1.27% წინა კვირასთან შედარებით), 2.47%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ეკონომიკური მონაცემები								
გადასახადები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	101.19	2.47	152.79
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	101.80	3.69	248.44
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	106.45	2.34	201.74
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	110.59	9.09	626.01
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-B/B2	102.59	4.98	449.88
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	108.34	7.28	465.56
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	107.07	3.01	245.81
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	110.58	9.34	620.47
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B/-	106.39	5.86	424.98

ადგილობრივი ობლიგაციები


KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-		n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B+/-		n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-		100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-		100.43	7.20	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-		n/a	n/a	n/a
GLC 07/23	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-		n/a	n/a	n/a
GLC 07/23	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-		n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/-/B1/-		n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-/BB-		n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	8.00%	Dec-21	-/-/-/B+		n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-/BB-		n/a	n/a	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-/BB		n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 15.68 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.90% წინა კვირასთან შედარებით და -4.16% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 97 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.20 - 15.86 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 33 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 14.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.80% წინა კვირასთან შედარებით და უცვლელი გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 128 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 13.28 - 14.66 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 26 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.11 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.81% წინა კვირასთან შედარებით და -2.24% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 715 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.79 - 6.24 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 80 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

								P/E		P/B	
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	15.68	771	40.5%	77.0%	28.5%	5.15x	4.96x	1.06x	0.97x
TBC	TBC	GBP	14.40	794	41.2%	45.5%	15.2%	4.98x	4.78x	0.94x	0.83x
Halyk Bank	HSBK	US\$	18.54	100,056	22.7%	57.7%	27.7%	6.60x	6.32x	1.26x	1.13x
Sberbank	SBER	USD	17.16	5,042	21.7%	61.9%	47.3%	4.97x	4.76x	1.24x	1.14x
VTB Bank	VTBR	US\$	1.35	8,774	25.4%	62.4%	41.9%	2.96x	2.99x	0.42x	0.39x
Akbank	AKBNK	TRY	5.30	27,560	8.4%	2.5%	-23.5%	3.19x	2.48x	0.38x	0.34x
Garanti	GARAN	TRY	9.28	38,976	32.4%	30.3%	-10.5%	3.57x	2.97x	0.53x	0.46x
Isbank	ISCTR	TRY	5.16	23,220	1.0%	-4.3%	-26.3%	2.71x	2.03x	0.31x	0.27x
PKO	PKO	PLN	43.90	54,875	34.7%	108.2%	52.9%	11.94x	11.20x	1.24x	1.18x
PEKAO	PEO	PLN	108.50	28,478	51.8%	117.9%	77.6%	15.00x	12.07x	1.09x	1.04x
Millennium	MIL	PLN	7.17	8,698	88.7%	161.9%	119.3%	10.33x	9.58x	1.20x	1.03x
Mbank	MBK	PLN	420.20	17,803	98.2%	142.7%	134.5%	14.24x	13.09x	1.08x	1.02x
BRD	BRD	RON	18.80	13,102	17.4%	44.4%	26.5%	11.47x	10.90x	1.52x	1.37x
Banca Transilvania	TLV	RON	2.66	15,234	19.9%	34.7%	29.8%	9.08x	8.46x	1.61x	1.49x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	-1.8%	-3.5%	-3.5%	8.07x	7.72x	0.64x	0.57x
Komerční	KOMB	CZK	881.00	167,433	26.9%	81.8%	34.1%	16.05x	13.86x	1.39x	1.39x
საშუალო								8.14x	7.39x	0.99x	0.91x
მედიანა								7.33x	7.02x	1.09x	1.02x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

								P/E		P/B	
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.11	293	2.0%	64.7%	13.1%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.18	479	4.4%	-2.0%	1.8%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	9.78	19,955	8.8%	18.8%	-14.7%	3.37x	2.84x	0.44x	0.36x
Deutsche	DBAN	EUR	35.45	533	-4.4%	12.9%	13.8%	3.86x	7.79x	1.04x	0.96x
Eurazeo	RF	EUR	80.75	6,381	21.6%	75.2%	45.5%	9.34x	11.95x	1.05x	0.95x
Carlyle Group	CG	USD	47.43	16,817	26.9%	90.6%	50.9%	14.72x	13.34x	5.37x	5.41x
საშუალო								7.82x	8.98x	1.97x	1.92x
მედიანა								6.60x	9.87x	1.05x	0.96x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამომავალის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოთხოვრებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აქვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამომავალს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gf@gf.ge